საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1085

ქ. თბილისი

13/11/2019

ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე“ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 25-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაიცეს ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ „ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე“ სკოპინგის დასკვნა (12.11.2019);
2. ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს (12.11.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ქალაქ გორის მუნიცილაპიტეტის მერიას.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ქალაქ გორის მუნიცილაპიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი